



28 ივლისი, 2009 წ.

პრეს რელიზი

გუშინ, 2009 წლის 27 ივლისს, კომინოვის აეროპორტში (მოლდავეთის რესპუბლიკა) დააკავეს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ 11 კაციანი სადამკვირვებლო მისია. დამკვირვებლები მოლდავეთში გაემგზავრნენ 29 ივლისის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით, არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების ევროპული ქსელის (ENEMO) მისიის ფარგლებში. მოლდავეთის რესპუბლიკაში ასევე იმყოფებოდა „სამართლიანი არჩევნების“ 2 წარმომადგენელი, როგორც ENEMO-ს მისიის თანამშრომლები მოლდავეთში.

„სამართლიანი არჩევნების“ 11 წარმომადგენელი 1 დღე-ღამის განმავლობაში იმყოფებოდა კომინოვის აეროპორტში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს საელჩოს რუმინეთში და საერთაშორისო ორგანიზაციის (საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი) ჩარევით მოხერხდა დაკავებულების საქართველოში დაბრუნება.

ამ დროისათვის ორგანიზაციის 13 წარმომადგენელი (ENEMO-ს მისიის 11 მოკლევადიანი და 2 თანამშრომელი) გამოემგზავრნენ მოლდავეთის რესპუბლიკიდან და მოემართებიან საქართველოში. „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლები თბილისის აეროპორტში ჩამოვლენ 29 ივლისს, დილის 03:20 საათზე.

„სამართლიანი არჩევნები“ დიდ მადლობას უხდის ყველას, ვინც გვერდით დაუდგა ორგანიზაციას და აქტიურად ჩაერთო საკითხის მოგვარებაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ნინო დოლიძე

ტელ: 893 998 968

ელ-ფოსტა: pr@isfed.ge

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge